სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

23 ივნისი 2026

N 429/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, „შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“-ის ტურისტული ინფრასტრუქტურის (საბაგიროს, ტობოგანის და ატრაქციონების) ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-11 პუნქტის 11.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“-ის ტურისტული ინფრასტრუქტურის (საბაგიროს, ტობოგანის და ატრაქციონების) ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N16;
2. შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“ ვალდებულია საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N16 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/429-21-4-202606230914

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE